

ქართველის გაუგოთი

გაუგოთი



საქართველოს
ანერთო
კულტურის
გაზეთი
№2 (305)

1-31 მარტი
2024

ფასი 150 ლარი

გამოცემა
თვეში ერთხელ



მაყვალა გონაშვილი

მოჯადოებულ წლები

გათითოებულ და სამყარო,
ცის ნაცვლად ვუმზერთ ეკრანს
და მაღვიძეარა საათი
რეკავს, ამაოდ რეკავს.

ეს რა ძილქუში შეგვყრია,
ვეღარ ვფხიზლდებით, ვერა,
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს
საით გაგვექცა მზერა?

სასახლის კართან მისულებს
შეგვაგებებინ ხარხარს,
თუკი ვიძალისძალავეთ,
გადმოგვიგდებინ სახრავს.

სახრავს და სახრეს ჩვეული,
ერთ დროს რჩეული ერი
სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,
სხვის მუსიკაზე მღერის.

მეც ასე ხელებგაშლილი
თურმე სატანას ვეძებე,
ხან მაძლარ მამებს ვაპურებ,
ხან უძლებ შვილებს ვეძებ.

მეც შვილი ვარ და მშობელი,
მეც დამინახეთ, გვედრით,
ვარ წუთისოფლის წიგნიდან
ამოხეული გვერდი.

არ მინდა მე სხვა სამშობლო,
მე სხვა სამოხე არ მსურს,
ვზივარ დაბზარულ კედლებთან,
აზმყოს გაწებებ წარსულს.

ნუ დამივიწყებ, უფალო,
ნუ მომარიდებ სახეს,
მიფრიალებენ მავანი
ფულით მოხვეჭილ სახელს.

„რავენისა“ კოშკთან დაქანცულს
მღვრიე ფიქრები შემშლის,
სანამდის უნდა ვიარო
მოჯადოებულ წრეში?

ჩვენს და-ქმოგას გაუგოთი
„ძმობაც იცი, ო, ბევრ ძმას,
დაო, შენ მირჩევნიხარ“.
თემურ ჩალაბაშვილი

სადაც დის ცრემლი ეცემა,
იქ ბალახიც აღარ ხარობს,
სიყვარულით გეთხოვები,
სიყვარულის აღამდარო.
საქართველოს ერთგულებით
სანთელივით ჩამომდნარო,
ცრემლისტოლა დედაშენი
კარებს გიღებს უნდადილოდ,
„რა ჭალარა მოგრევია,
როგორ ფერმკრთალი ხარ, შვილო,
გულო, ჩადექ საგულესა,
ავთვალმა არ შეგაშინოს“.
მიეახლე დიდ ნინაპრებს,
ასეთია უფლის ნება,
ჩვენ და-ძმობას გეფიცები,
დამამუნჯა ტკივილებმა,
შენ რომ ხელებს აღარ გაშლი,
მე ის ლენიც მენანება,
როგორ ძლიერ უზდებოლი,
ამ ჩვენს ტანჯულ საქართველოს,
ტყუილია, არა მჯერა,
დრომ ჭრილობა გაამთელოს,
მანდ როგორი დღეებია,
ანდა ზეცა რა ფერია,
სულეთის გზას რომ გინათებს,
ჩაუმქრალი სანთელია,
დაჭრილ გულზე ლექსი ისევ
სალბუნივით გაფენია,
სადაც დის ცრემლი ეცემა,
იქ ბალახიც აღარ ხარობს,
სიყვარულით გეთხოვები
სიყვარულის აღამდარო.

ის, ვინც ვა გურადა

არ უწერიათ დამშვიდება შეშლილ
ქალაქებს,
არც შეშფოთებულ პოლიტიკოსებს,
არჩევნების წინ ხალხზე მზუნეველებს,
მშვიდობისათვის დაწყებულ ომებს,
სხვათა ომებში დალუბულ გმირებს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
არ უწერიათ დამშვიდება დაცლილ
სოფლებს და
დამშრალ წყაროებს, დამშრალ
ცრემლებს,
სიმწრისაგან გამშრალ ბაგებს,
მათ ვისაც იმმა ჩამოყუქნობავშვობის ია,
მამებს, რომლებიც უმნეობით
დაბატარავდნენ,
დედებს, რომლებსაც რძე დაუშრათ,
მკნავანა შვილებს
აწოვეს ბოლმა, უნანავეს „შურისძიება“!
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება
სამოვარზე გაეცეულ ქალებს,
ცოლის იმედად დარჩენილ კაცებს,
კომპიუტერში დაკარგულ შვილებს,

რწმენადაკარგულ თაობებს და უთავო
ლიდერს
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
ეს ვინ გამოჩნდა, ვინ ამაღლდა
ზეცის თავანზე?
ანგელოზია? სატანურია?
ან იქნებ სულაც
სხვა პლანეტის მოქალაქეა?
ის არის, ვისაც შენ ელოდი,
ის, ვინც შენ გსურდა,
რადგან ცხოვრება იმას გვაძლევს,
რასაც ვეძებდით,
რადგან სამყარო ისეთია,
როგორსაც ვხედავთ!

როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღალადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინდა შემრისხავს?!

ეს მა ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!

დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოვანეთს, ჯოვან ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაპკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის კველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.

განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხხალმა სოფელმა
მაღა მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მნერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
საკირებში გადავნახე,
სულ წყელა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მზე.
გული ჰგავს გამსკდარ ბრონეულს,
ნამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქეს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც დანვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ, დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძნი და ქველი.

მაყვალა

კარგახნის წინათ გითხარი:

მაყვალა, ნუ ამბობ, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტი, ჩემი გაზრდილი ხარმეთქი.

რატომ, ბატონო რეზოო, ლამაზი თვალები წყენით შემომანათე.

განა ჩემთვის საამაყო არ არის შენი ლექტორობა, მაგრამ არ მეტები ჩემდა სასტუდენტოდ, მეცოდები, ჩემი მტრებიც შენ დაგესვან-მეთქი.

გავუძლებ როგორმეო, დამაიმედე.

გავიდა ათწლეულები და გაუძელი კი არა, შურით დასწებოვნებულებს, მნერალთა კავშირის დაშლის მოსურნებს კუდით ქვა ასროლინე.

აქამდე არასოდეს მითქამს და ახლა ვმშბობ: ისე მოეწყო საქართველოში მუზის მსახურთა ცხოვრება, იქამდე მივიდა ცინიზმი და ნიჭის იგნორირება, ფაქტიურად ჩვენი სახელმოწყონა წისქვილების, შემოქმედებითი კავშირების უმეტესობა ისე მიინავლა, რომ ძლივს და ფეხებას.

მნერალთა კავშირი კი კვლავინ-დებურად ცოცხლობს და არა მარტო ცოცხლობს, მე, შენს თანათავმჯდომარეს და წევრად მიმღები კომისიის ხელმძღვანელს უჯრა სავსე მაქვს მნერალთა კავშირის წევრობის შურველთა განცადებით.

ამაში „მთავარი დამნაშავე“ შენა ხარ.

დღეისათვის მნერალთა კავშირში 834 მნერალია გაერთიანებული.

რა არის ამის მიზეზი? შენ დედაფუტ-კარივით იზიდავ და შემოქმედებითად პატრონობ ყველას - ახალქედასაც და ჩემსავით ბებერ კალმისანსაც. კვირა არ გავა, მნერალთა სახლში პრეზენტაცია ან იუბილე არ ჩაატარო და ღირსეულს შენებურად არ მოეფერო.

აი, რატომ იზრდება ჩვენი რიგები. ხალხმა კარგად იცის, რომ მნერალთა

კავშირი ერთადერთი შემოქმედებითი გაერთიანებაა, რომელსაც საქართველოს წინაშე არასოდეს, ისტორიის არცერთ მოსახვევზე, თავი არ შეუცხევენია... რომ მნერალთა კავშირის წევრობა რუსთველის კვალზე შედგომას, გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას ამქარში ყოფნას ნიშნავს.

შენ იმ გამონაკლის ბანოვანთა შორის ხარ, საქართველოში, რომელსაც წლები აკლდება, სხვას, ყველას წლები ემატება.

დიახ, შენ შენი დიდებული შემოქმედების და შენი ეროვნული ენერგიის პატრონი, რაც დრო გადის, უფროდაუფრო ახალგაზრდავდები.

გკოცნი!

ჭეშმარიტად პოეზიის დედოფალი ხარ.

რევაზ მიშველაძე

მეორები და მოღვაცე

ამ წლების განმავლობაში, რაც მნერალთა კავშირს ხელმძღვანელობს, მაყვალა გონაშვილმა შეუძლებელი შეძლო, შეძლო თავისი საოცარი ძალისხმევით, შეაკავშირა, განდგომილებს დაუყვავა, რეგიონებს მეტი თავისუფლება მისცა, ღირსეულ და დამსახურებულ ავტორებს პრემიები მიანიჭა, ჩაატარა მრავალი შემოქმედებით საღამო.

მაგრამ მაყვალა გონაშვილი პირველ რიგში არის შესანიშნავი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რომლის ლექსი ჩვენი საუკეთესო ტრადიციებს გაგრძელება, დღეს, როცა ქართული სიტყვა იძირება უგემოვნების ქაოსში, ხოლო ლექსი ქცეულია ცინიზმის საგნად, იგი თავისი ნათელი სტრიქონებით, პატრიოტული გულისყურით გვიჩვენებს შემოქმედებითი სიმტკიცის მაგალითს.

ულოცავ მაყვალა გონაშვილს დაბადების დღეს და ვუსურვებ კვლავაც ასეთი შემართებით ელვაროს, ელვაროს ლექსით და საქმით ჩვენი კულტურისათვის.

სოხო სიგუა

გილოცავ!

ძვირფასო მაყვალა, გილოცავ შენს დაბადების დღეს, 65 წლის საიუბილეო თარიღს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს...

ახლაც მახსოვეს ჩვენი გაცნობა გასული საუკუნის 80-იან წლებში, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ახალგაზრდა პოეტთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად ბალდათში, მაშინდელ მაიაკოვსკის რაიონში ტარდებოდა და რომელშიც საბჭოთა კავშირის ქვეყნების ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტები მონაწილეობდნენ...

მაშინ შენ 20-21 წლის ლამაზი, სიფრიფას გოგონა იყავი და ყველას ყურადღებას იქცევდი შენი უშუალო, ნათელი ლექსებით და გამორჩეული, ბავშური ლიმილით...

მაშინ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის დღეების პრემიაც მიიღე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართულ მნერლობაში, პოეზიაში მოვიდა ძალიან საინტერესო, ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდა პოეტი...

მას შემდეგ 40 წლის გავიდა... ბევრი რამ მოხდა საქართველოში, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაშიც: ბევრი დაფასდა და ბევრიც გადაფასდა!..

შენ კი ისევ შენი პოეზიით ამშვენებ ქართულ მნერლობას და თანაც ისტორიულ, 110 წლის საქართველოს მნერალთა კავშირს ხელმძღვანელობ ღირსეულად...

ღმერთმა დაგლოცოს შენს ლამაზ ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ახლობლებთან ერთად...

იხარეთ, იდლეგრძელეთ და იბეჭიერეთ მრავალუამიერ!..

ეპსარომათად
მაყვალა გონაშვილს

„საქართველოში ათგ ზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“. მაყვალა გონაშვილი

შენ სიყვარულით ყველგან გელიან, ღია აქვთ შენთვის მათ გულის კარიც, საქართველოში თუმცა ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი...

იყო ქვეყნის და ხალხის მსახური, წინ წასაძლოლად დასჭირდე ოდეს, და თანაც წელი სამოცდახუთი ასე გამოკბდეს და გიხდებოდეს...

იყო მეუღლე და იყო დედა, ქსოვდე ფარდაგებს ფერად-ფერადებს და მერე ლექსებს - გულის ნაღვერდალს, გასაღვივებლად სულ უბერავდე...

დღეს პოეზიას, - ლექსის ელვიანს, ამშვენებს შენი ლექსების კვალიც; საქართველოში თუმცა ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი!..

ბალათერ არაბული

დისეული ქალგატონი!

როცა საუკუნოვან მნერალთა კავშირს უჭირდა მას მხსნელად მოევლინა მაყვალა გონაშვილი, დიდი ტრადიციების მქონე კავშირის პირველი ქალი თავმჯდომარე, მოევლინა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მნერალთა ორგანიზაციას არ ჩაემუხლა და ღირსეულად გაეგრძელებინა მოღვაწეობა. განა ყველას აქვს ღმერთისგან მომადლებული იყოს დიდი შემოქმედი, ორგანიზატორი, კარგი დედა და ბებია... ეს ყოველივე თაგს იყრის მაყვალა გონაშვილის გარშემო. ასევე მისი ზეამაღლებული თვისებაა განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის გვერდით დგომა, ხელის გამართვა... პოეტი მის ერთორთ საუკეთესო ლექსში გვეუბნება:

„არა მარტო დენ მამულის, ანდა არა მარტო დენ წინაპრის ვალით, საქართველოში ათგ ზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი.“

მე კი დავამატებდი ქალბატონო მაყვალა, ასევე ძნელია ხელმძღვანელობდე შემოქმედებით ორგანიზაციას და იყო მისი ღირსეული წინამდლოლი, ხოლო შენი ეს სიტყვები ტკივილიც არის და შემართებაც ქართველი კაცისთვის...

„მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა, „მომავალი შენია!“ შენია და ელოდე, ასე როგორ მივიდეთ, ასე დაჩივებული შეხვედროდეს მის საესავ სამშობლოსთან ერთად, ცისარტყელებთან ერთად.

„მე კი ისევ შენი პოეზიით ამშვენებ ქართულ მნერლობას და თანაც ისტორიულ, 110 წლის საქართველოს მნერალთა კავშირს ხელმძღვანელობ ღირსეულად... იხარეთ, იდლეგრძელეთ და იბეჭიერეთ მრავალუამიერ!..“

ამით ყველაფერია ნათქვამი!..

მე კი მინდა გითხარი:

„შენ, კარგი კაცის მეუღლე ხარ, ჩემო მაყვალა, კარგი შვილების დედა ხარ და კარგი შვილი ხარ... გზა აირჩიე ეკლიანი... გზაზე მიდიხარ...“

შენ, კარგი კაცის მეუღლე ხარ, ჩემო მაყვალა!“

გილოცავ საიუბილეო თარიღს, უფალი ფარავდეს შენს ოჯახს და შენს ჩანგს ქრისტიანის!

ბადრი ქუთათელაძე

მოღოლინი

თითქოს გუშინ იყო, როცა ერთმა კაფანდარა გამხდარმა გოგონამ შემოაბიჯა მნერალთა კავშირის სასახლეში და შიშნარევი მზერა შემოატარა ამ დიდებული შენობის კედლებსა და მის ბინადართ.



დვთის ნებით ადამიანს სიცოცხლე სიკეთის ქმნისთვის ენიჭება. უფლის მაღლით სიკეთის თესვა და მაღლის ქმნა ყველას არ შეუძლია, რამეთუ „მრავალი არიან წოდებულ, მცირედნი - რჩეულ“... და ნამდვილად უფლის საჩუქარია, როდესაც ცხოვრება ჯილდოდ ასეთ რჩეულ ადამიანებთან მეგობრობას გარგუნებს წილად. მე ბედნიერი ვარ და ღმერთს მაღლობას ვეუბნები ამ ჯილდოსათვის, სხვანაორად ვერც წარმომიდგენია, ეს ხომ მრავალი წლის წინ დაიწყო.

ძალიან კარგად მახსოვე ჩვენი პირველი შეხვედრა... უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში, მისაღებ გამოცდებამდე, უურნალისტიკის ფაკულტეტზე ვინც ვაპარებდით, ტურები იმართებოდა. მეოთხე სართულზე, დეკანატში, დათიკო გამეზარდაშვილის კაბინეტთან შევიკრიბეთ. სულ სამი ტური უნდა



გავიცავთ, ჩემო დიდებულო ქალბატონო მაყვალა! განუზომელია და თანაბარი თქვენი სიკეთე და სიყვარული ადამიანების მიმართ. მე ვიცი, ჯადოსნურ გაღვივებულ მარცვალში ჩაბუდებული თქვენი სიკეთის ფასი, მეც იმ გაღვივებულა, კეთილი მარცვლის ერთ-ერთი ნაწილი ვარ, რომელიც დაყვება წლების მანძილზე.

დაიარებით თბილისის ქუჩებში თქვენეული ფიქრებით, თავმდაბალი, პირნათელი, მებრძოლი, ღვთისნიერი, მომზადებული ქალბატონი, რომლის უმთავრესი მისია - სიკეთე და სიყვარულია. „გიყვარდეს მოყვასი შენი!“ - გვასწავლის უფალი და ტქვენ სწორედ ის ქალბატონი ბრძანდებით, რომელიც უშურველად და უხვად გასცემთ სიკეთესა და სიყვარულს, მტერსაც კი მოყვრულად ხვდებით.

ბრავო თქვენს ქალბაბას! ქალი - ცნობილი პოეტი და ლირეული ხელმძღვანელი, ქალი - უძლიერესი უძლიერესთა მორის, ქალი - მეგობარი, ქალი - დიდებული მეოჯახე, მეუღლე, დედა და ბებია, ქალი, რომელიც შენს გულისტკივილს გაითავისებს, ყოველთვის მზად არის შენს გვერდით იყოს, მოგეფეროს და შენი ბედნიერი თვალები დაინახოს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ქალბატონო მაყვალა დაბადების დღეს. მეიმედებით, მიყვარასართ, მეამაყებით. გვიმრავლოს თქვენისთანა დიდებული ქალბატონები ქართველ ერს.

ნაირა მარშანია

გაგვევლო. პირველი დღე იყო. ყველანი ვლელავდით, ვნერვიულობდით, მაგრამ ეს ხომ ჩვენი პირველი ნაცნობობა იყო, წინ გრძელი ცხოვრების გზა გველოდა.

ჰოდა, კიბეზე დავინახე... პირველი შეხვედრიდანვე ისეთი განწყობა მქონდა, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი, ბევრი საერთო აღმოვაჩინეთ ერთმანეთში, ორივეს პოეზია გვიყვარდა... და დღემდე ასე გრძელდება.

ყოველთვის, როდესაც მაყვალა გონაშვილზე ვფიქრობ, ან მეკითხებიან მასზე, მუდამ სოკრატეს ნათქვამი სიბრძნე მახსენდება - „ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს“.

დაბადების დღეს ვულოცავ, ყოველივე საუკეთესო მინდა ვუსურვო, უფლის მაღლი და წყალობა არ მოკლებოდებს...

მანანა გორგიშვილი

„306 გაპატიებს, რომ ხარ კათილი“

მაყვალა გონაშვილი ჩვენი თაობის ლიდერი იყო და საოცრად გამახარა, რომ ჩვენ თაობაში პირველმა მოიპოვა რუსთაველის სახელობის პრემია. ადრეც მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ: ღვთის წყალობაა მაყვალა გონაშვილის ჩვენს შორის არსებობა. დაგაპირე ფიქრის ფურცელზე გადატანა და უნებლივი შევკრთო. არის აზრები, რომ ლეგიც აზრებივევა სწორი, აქცევ სიტყვებად და უკვე დანამაულად აღიქმება. ადამიანის ძაგებას დიდი გასავალი აქვს ჩვენში: მოგისმენენ, გაგამხვევებენ და აგყვებიან კიდეც. ქებისა კი რა მოგახსენოთ. ეს ჩვეულებაც მხოლოდ ტრადიციულ ქართულ სუფრას შემორჩინა, როგორც „წარსულის მავნე გადმონაში“. ამიტომაცა, სადღეგრძელოში ნათქვამი სიტყვა კალმის წვერზე რომ ვერაფრით თავსდება, - ხან მეღანი გვიშრება, ხანაც სისხლი.

მას ეძებენ. მასთან თავს კარგად გრძენბენ. მისი იმედიც აქვთ და, შურთ კიდეც მისი. დიდხანს მეგონა, რომ მისი ტკივილიანი სტრიქონი - „ვინ გაპატიებს, რომ ხარ კეთილი“, - ყველაზე ნაკლებად სწორედ ავტორს ეხებოდა.

რატომ?! საიდან?! ჩუმად კითხულობს მავანი, - რაშია მისი მომზინველების საიდუმლო?! მოგახსენებთ, - იგი სიყვარულის მასწავლებელია უპირველესად! იგი ამას ასწავლის შეუმჩნევლებელი, ძალდაუტანებლად; თითქოს შენთან ერთად სწავლობდეს საგანს, რომელიც აბადებიდან ზეპირად იცის; რომელიც შენც მოგეცა უფლისგან, მაგრამ ამსოფლიურ სიბინძურესთან ბრძოლამ ლამის გადაგავიწყა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - ჩვენი საზოგადოება ნეკროფილითაა დაავადებული. ავტორიტეტი აუცილებლად მკვდარი უნდა იყოს, რომ შევიყვაროთ და დავაფასოთ. მტრისას, თუ მოძღვარი ცოცხალია, კიდევ უარესი - თუ ჩვენზე ახალგაზრდაა იგი.

არაერთხელ შევსწრებივარ უხერხულ სიტუაციას, იქ, სადაც ჩვენი პარნასელი კერპები უმნიფარი ბიჭისით ჩაჭრილან, ჩემი დობილი, შეუპოვრად მდგარა საკუთარ სიმართლეს მინდობილი. გული მტკივა, რომ ბევრმა არც-თუ კეთილად ისარგებლა მისი სიკეთით, ვწუხვარ, რომ სხვებზე გადაყოლილმა ბევრი დააკლო თავის თავსა და შემოქმედებას. ვერ ამიტანია, რომ ჩემს სამშობლოს სათანადო არ გამოუყენებია მისი, როგორც მოღვაწის ნიჭი. მიხარია, რომ ეს ნიჭიერებით, სილამაზით და სათნოებით გამორჩეული ქალბატონი უპირველეს ძმად და მეგობრად მთვლის. თუმცა ასეთ უპირველესად არაერთს მიაჩინა თავი. ამ შემთხვევაში, მე სამადლობელის მეტი არაფერი მაქვს გასაყოფი მათთან.

მივესალმები მაყვალა გონაშვილის სიხარულსა და წარმატებას. იგი დაბადებიდან საკუთარი გზით მოდის, მარტონდენ საკუთარი თავის ამარა. მისი ყოველი ლექსი, ყოველი ნაბიჯი მაცოცხლებელი სხივითაა გამოყიდა, რომელიც ასე გვჭირდება ყველას.

ვარგანგ დლონტი

ჩემ მაყვალა!

გულითა და სულით გილოცავ რუსთაველის სახელობის პრემიას. მეც ის-ეთივე ბედნიერი ვარ ახლა, როგორც შენ, როცა სახელმწიფო პრემია მომანიჭეს „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულად თარგმანისთვის. პირველი შენ იყავი, ვინც მომილოცა. ისიც მახსოვს, დედაჩემა მითხვა: შვილო, მე ბაქოში რომ ვარ, გული იმიტომ მაქვს მშვიდად, თბილისში ნამდვილი დობილი - მაყვალა გონაშვილი გყავსო. ჩემთან ერთად, ამ დიდ პრემიას, გილოცავენ შენი კოლეგები - აზერბაიჯანელი მწერლები.

აზერბაიჯანი. იმირ მამედლი საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

სასიხარულო იცორომაცია

ქალბატონო მაყვალა.

შენი მეგობარი სომხი მწერლები გაგვახარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ქართველთავის ყველაზე მაღალი ჯილდო - რუსთაველის პრემია მოგენიჭიათ.

თქვენ ჩვენთან სომხეთში არაერთი ჯილდო მიგილათ. იყავით სომხეთში ჩატარებული მსოფლიო პოეზიის ფესტივალის გრან-პრის მფლობელი და სომხური პოეზიის ქართულად თარგმანებისთვის სომხეთის მწერალთა კავშირმა „ეჩმიაძინის წმინდა მთარგმნელთა“ პრემია მოგანიჭიათ.

გილოცავთ ახალ გამარჯვებას და გილოცავთ მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

გაგიკდაგთიანი მწერალი, სომხეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

* * *

მაყვალა გონაშვილს

ლექსის დედოფლად ხმობილო, ფრთებზე შეგისვა ცის სიომ, ახლა დრო დადგა, რომ თეთრი მერცხლები შემოგისიოს.

რომ დიდების გზით გეფრინა, დრო თვითონ გახდა მორჩილი, ლექსის მზე გიბრჭყვიალებს, კონკიას ცალი ქოშივით.

მეორე ქოში პარნასთან იდო, ელოდა ცალი ცალს, უკვე იპოვე! ვიცოდი, ქალი ანთებდი ქარმატალს.

პოეტის თარგით გამოჭრილს, ხატის ჩარჩო აქვს თავნერილს. უფრო ჰაგავ ზეცის კარნახით, სამოთხის ბალში დანერილთ.

ნეტავ მას, ვინც ამ ლექსებმა იპოვოს, დაიძმობილოს... აფერუმ, დაო, მელექსევ, ლექსის დედოფლად ხმობილო..

საქართველოში ოდითგანცე იცოდ-
ნენ ქალის ფასი, რასაც ჩვენი სამეტყვე-
ლო ენაც თვალნათლივ ადასტურებს.
ყველაფერს მნიშვნელოვანს წინ სიტყვა
დედა უძღვის. დედა სამშობლო, დედაე-
ნა, დედაბოძი, დედაქალაქი...

ქართველთა გაქრისტიანებაც ქალის სახელს უკავშირდება, წმინდა ნინოს, საკუთარი თმის ნაწნავით შეკრული ვაზის ჯვრით რომ შემოაბიჯა ქართულ მიწაზე და მას შემდეგ ყველა ქართველმა იცის ვისი მფარველობის ქვეშაც სულდგმულობს სამშობლო საქართველო, ღვთის დედის ხელთა ვართ და ესეცაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ვარსებობთ და ვცხოვრობთ დედაენით, უნიკალური ანბანით, რელიგიით, კულტურით, ხელოვნებით, ჰიმნით, დროშით და შემორჩენილი ქართული მიწით, რაც მთავარია, ვარსებობთ ღირსეულ სატრფოთა და დედათა, ბებიათა და ასულთა წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ ქალი მეფე თამარი გვყავდა და ის ყველას უყვარდა, რომლის არსებობითაც ამაყია ჩვენი ერი და საქართველო მეომართა, მიწისმოქმედთა, რაინდთა ქვეყნად ჩამოყალიბდა, სადაც ქალებს და განსაკუთრებით დედებს ულრმესი პატივით ეპყრობიდნენ, მაინც, ქართველ ქალთა ხვედრი ტკივილით, სიმძიმით, სიმწრით იყო გაჯერებული და ყოველთვის, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მძიმე იყო ქალის ხვედრი და მიუხედავად ყველაფრისა ქალები ინარჩუნებდნენ სილამაზეს, მშვენიერებას, მომხიბვლელობას, ზრდიდნენ შვილებს, თავს ევლებოდნენ მეუღლებს, აძლიერებდნენ კერიას და ქალებს ზოგადად ჯეროვნად მაინც არ აფასებდნენ, მათ ზღუდვადნენ გამოგონილი წესებით, ადათებით, სტაცებდნენ უფლებებსა და თავისუფლებას. გავიდა დრო, ბრძოლის შედეგად ქალებმაც მოპოვეს თავისუფლება, გენდერული თანასწორობა, რამაც მშვენიერი არსებების პასუხისმგებლობიბანი გაზარდა. ახლანდელ დროში აღარვის უკვირს ქალის მეცნიერმუშაკობა, საზოგადო და შემოქმედებითი მოღვაწეობა, ინდუსტრიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტიკის განვითარებაში მონაბილეობის მიღება და ზოგადად წარმატებულობა. ქალებმა თავიანთი გონიერებითა და სიძლიერით ტოლი არ დაუდეს მამაკაცებს.

ერთ ლექსზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება მკითხველო, ლექსზე, რომელსაც „ათასმეორე“ ღამე ქვია, ავტორი გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. ესაა ქალი, რომელმაც მრავალმნიშვნელოვნად გვითხრა, რომ საქართველოში ძნელია იყო ქალი, იმიტომ კი არა, რომ მას, როგორც ქალს უჭირს ამ ცის ქვეშ ხცოვრება და მოღვაწეობა, არა, ის თავისი შემოქმედებით ქალთა გულშემატებით და ქომაგად იქცა, და კიდევ, არის ქვეყნები, სადაც ქალები ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, იჩაგრებიან, ითრგუნებიან, კვდებიან და კლავენ კიდეც მამები, მეუღლები, ძმებიც კი, და მათ სიცოცხლეს არა აქვს ფასი, მკვლელებს იმ ქვეყნების კანონები ამართლებთ. ჰო, მოკლულ იქნა ქალი, რა მერე... არანაირი სინაცულის გამოხატულება, არანაირი...

„ათასმეორე ღამე“ გაგრძნობინებთ
ნამდვილი ქალის მაგიურ ძალას, შინა-
გან ენერგიას, ცეცხლოვანს, მგრძნე-

ბარეს, ამაღლვებელს, ქალურ სინაზ-
ესა და გონს, მეტადრე, თუ ქალი
განათლებულიცაა და ჭკვიანიც, მისი
მაგიური ძლიერება გაათმაგებულია.

ქალის გაჩენის ისტორიას რამდენიმე სიტყვით, უზადო ოსტატობით შეგვახსენებს პოეტი.

სამსალანარევს რად სვამ შარბათს
ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი იღექება ჩვენი
წარსული,
მუდამ თან დაგდევს როგორც
სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის ნვერით
ამოკანრული.

የኢትዮ ልማሪዎች

მაყვალა გონიერების ლექსი „ათასეორე ღამე

ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკი
მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების
კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ
ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა
მგოსანი.

ქალბატონი მაყვალა მკითხველს
აიძულებს გაიხსენოს არაბული შუა-
საუკუნოვანი წერილობითი ძეგლი
„ათას ერთი დამე“, ესაა ამბავი მეფე
შაპრიაზე და მის ცოლ შეპრაზადეზე.
ამ მეფეს პირველმა ცოლმა უდალატა,
რის შედეგადაც მეფე გაბორობდა,
ყველა ქალზე ჯავრს იყრიდა, ვისაც
მისწვდებოდა. ყოველ დღე ქორნინდ-
ებოდა, სარეცელს იყოფდა ქალთან,
დილით კი კლავდა, შემდგომ კვლავ ახ-
ალი ცოლი მოჰყავდა. შეპრაზადესაც ეს
ბედი ელოდა, რომ არა მისი განათლებ-
ულობა, საზრიანობა და სხვა რამეებიც,
რაც ქალებს მაგიურ ძალებს ანიჭებთ
გამოჰყენა, რომ სიცოცხლე შეენარჩუ-
ნებინა. იმავდროულად გაგახსენდებათ
უფლის მიერ შექმნილი პირველი ადა-
მიანები, კაცი და ქალი, ადამი და ევა.
ქალის ცნობისმოყვარეობა, სიანცე,
მაგია კაცის საცდუნებლად, საწადელ-
ის მიღწევაც, რასაც მათი სამოთხედან
გაძევება მოჰყვა. პოეტი მკვეთრი რა-
შე მისა გადასახად მოჰყვა და მართვა

კურსით გვიხატავს ქალის განცდებს, შიშს სიკვდილის მიმართ, მისი სულის შინაგან კივილს, რომ გადარჩეს ან რამ-დენიმე დღითა და ღამით მაინც გაანხ-ანგრძლივოს სიცოცხლე, სუნთქვა და ქალის სხარტი გონება იპოვის გამო-სავალს, ცოდნა დაეხმარება, ამბების საინტერესოდ მოყოლის უნარი და ის უცაბედად გადაიქცევა მუცლით მეზ-დაპრედ. ცოდნა და განათლება დიდი ძალისა და ენერგიის მატარებელია. ის იხარჯება, ემოციებად იღვრება, ყვება ამბებს გარიურაჟამდე, საინტერესოს, მძაფრს, მრავალფეროვანს.

Սպազմոնդա թշուած ասելույղենի նոն
մոմեցար նամքուալ դա մոցոնուա ամեցես,
Տոմարտուայեն կոպուուղենու մշացաւուլս,
Հաճուանուրս, Տեմիսարազ ույսէցարու գա-
յերուալունես, Տասովարուու ուստորուունես
դա գարույրայսու դագարմամքու սբուցութա-
տերոնձա, Ռոր Տոյցանուու գամոյցանոնդա.
Թշուած կո Տարուա դասարույղենի մու-
մենա դա կալս մոմքուան գլումքու Տասոյ-
չառուու առ Կերուուա.

კვდილობაზე კეთილდღისას
სანთლების შუქზე ფრთხებგაშლილი
თამამი ვრჩანდი,

მომენდე გულით, საუკუნო როდის
ჭმუნვა
ნარმავალია მწუხარებაც
სიხარულივით

მე კი მრავალი ღამე სიტყვის
გასვი ბადაგო
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც
შენი გულისთვის
ზეცის ზენარი გავშალე და
მოგესურვილ
და წუთით მაინც დაგავიწყე
წუთისოფელი
იქანებ მომენდო და დამინდო და
დამებედო.
ზღაპრებსაც იგონებდა ქალი, კეთი

მაყვალა გონაშვილი

ათასევრა ლამა

სამსალანარევს რად სვამ შარბათს
ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექტება ჩვენი¹
ნარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც
სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით
ამოკანრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი
მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების
კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ
ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების
საბრი?

შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი
და როგორც ლამის ფარფალია, თუმც
შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი,
თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწეხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ლამე სიტყვის გასვი
ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც შენი
გულისთვის.

ზეცის ზენარი გავშალე და
მოგესურვილე,
და წუთით მაინც დაგავინებე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და
დამებედო
რადგან ცხოვრება იფრითია
დაუნდობელი.
რომ არ მოგეეალ, წყაროსავით გიკლავდი
წყურვილს,

ლამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე
და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც
სანთელი
სანამ მზე ზეცის, ლურჯ მინდორზე
ამოთავთავდა.

გაქრა შიში და ტანჯვეის გზებით მეწვია
სიბრძნე: —
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს,
შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი
დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია
ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის
ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა

თვისი. სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა
დავხარჯე, ქმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით
ძლეული. სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით
მოგნუსხე, ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი
სხეულით. მე კი კვლავ მაკრთობს 1001-ლამე —
გიშერი, ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე,
ვერ ვიძინებდი, უკვე მომენდე და ალაპიც ვეღარ
გიშველის... 1002-ე ღამე დადგა შურისძიების!

თინათინ ჭედი

ნონა ჯანაშია

დედას

ლექსი დასჭექეო, -მარიგებდი,
ისე მონუსხე მსმენელიო,
თავს არ დაზოგავდეს სამშობლოსთვის,
მისთვის სიცოცხლესაც შეელიოს!

გულში იქბს რომ გფენს, მამულია,
ანიდან ჰემდე ფრთაგაშლილი,
ზეცაა მწვერვალთა სიმაღლიდან,
ლურჯგუმბათლილიებგადაბანილი.

ნისლთა გამჭვირვალე სამოსია,
მთათა საპატარძლო ბისონები,
ვაზია რქებგადაგრეხილი და
რწმენაა მარიამ-ნინოსებრი;

არმაზისხევის ბილინგვაა,
ეპიტაფიაა სერაფიტის,
მხურვალე გულების ერთობაა,
პატარა კახ-სოლომონ დიდისებრი;

გიორგი სააკაძის ხმალია და
გულში მობობოქერ ქარიშხალი,
აშოტის ტრფობაა წამებული
და არტანუჯია ნასისხლარი;

ქვებსაც წინწკლებად შერჩენია
მარადიული...მწანამული...
მექიხვინება წარსულიდან
ცხრა ძმის ცხრა ფიცხი ბედაური.

სამშობლო ერთია, როგორც დედა,
მის ბედზე პასუხი უნდა აგო!
„არ გასწორდებაო ძალის კუდი
და არც მორიელი სწორად ვალსო“.

გასწორდი! შენში უნდა მოკლა,
არ გააჭარნო შადიმანი,
მანამ ვერ გაბრწყინდება საქართველო,
რომელიც, ოთხი დღის მკვდარი არის.“

მეტეხთან მოყვრის ნატყვიარი
როდის მოიშუშებს მწველ იარებს?
მწუხრშიც იმდერება შადიანი,
აღდექ და ახლავე გაიარე!

ლექსი დასჭექეო, -მარიგებდი,
ისე მონუსხე მსმენელიო,
თავს არ დაზოგავდეს სამშობლოსთვის,
მისთვის სიცოცხლესაც შეელიოს.

მთაცილება -31 მარტი

შაშვი ჭახჭახებს!...გული აკვნესდა...
დიდებულია! -აღმოხდა ბაგეს,
რომ შემიძლია აქ ამაღლება
და გაგიშებით ყველა მიყვარდეს.
ქართლის დიდების მზე აქ ამოდის!
შენ აქ ინყები და არ დამთავრდე,
სულის სიმაღლევ და მეცხრე ცაო,
ეს გზა გვაცოცხლებს უკუნისამდე.
საოცარია ლაზარე ენა
და იდუმალი-ლეთიური არსი!
აქ არის ჩემი წმინდა სამშობლო,
იერუსალიმს რომელსაც ვადრი.
სხვა საქართველოც აქ მოვაქუჩე,
სხვა ქართველებიც მათი მუზებით,
ჩვენო გმირებო და წმინდანებო,

ვსულდგმულობ თქვენი დამსახურებით.
ფირუზებს ირევს მეტეხთან მტკვარი,
იალბუზის გმირს იმედით ვუმზერ,
მირონის სურნელს მაკმევს ნიავი,
მცხეთიდან-სადაც უფალი სუფევს.
რა უნდა ვუთხრა მეფეს და მგოსანს
ალმაშენებელს-მტერთაგან უძლევს,
რომ სხვის დაკრულზე ცეკვა ვარჩიოთ,
გადავუარეთ სამშობლოს გულზე.

თამარის გული რომ შევაღონეთ,
რუსთველის საღმრთო სიბრძნეს ვერ
ვწვდებით,
ნესტან-დარეჯანს ვერ ვუერთგულეთ,
სანთლით საძენი გვყავს რაინდები.
გადაგვარდაო ტატოს მერანი,
სხვის ვაივაგლახს არ დაგიდევსო,
ყურში მიკივის გურამიშვილის,
„ქართლის ჭირი“ და ვაი...იესო!
საჩინოებზე აკივილს ცელი,
ცელეს და თიბეს სათიბელათი,
მტკივა დემეტრე-დიმიტრის თავი
და მანუგეშებს,, „შენ ხარ ვენახი“
იმდენი ვინმე, იმდენი რამე
მტკივა და გულში არაა ტევა...
პატარა კახის გმირულმა სულმა
და მისმა ხმალმაც აქ გამიელვა.
რა პატივია! დედასამშობლო

საერთო გვერდეს ჩვენ და ექვთიმეს,
ჩვენ და ქაქუცას, ჩვენ და ილიას,
ჩვენ და აკაკის, ჩვენ და თევდორეს...
ვაჟას და ზვიადს, ანას და მუხრანს,
ცოტნეს და მერაბს, იაკოპსა და...
დიოდ კონსტანტინეს.
რა სიოცხვილია! მათი ნაქონი
სისხლი ძარვეფში არ გვიყიდეს.
ზვიადთან დავრჩი დიდხანს მდუმარი,
ჩამოვასვენე ფიქრთა კრეპული...
ქვაზე ტიტრობდა ერთი თარიღი:
31 მარტს დაბადებული...
რა პატივია! გალაკტიონის
სულს გვინათებდეს,, „მთაწმინდის
მთვარე“...

რა პატივია! ღმერთებთან ახლოს
მამადავითზე შემოგაღამდეს.

მა ისა მიყვარს...

ლექსი, რომელიც ჯერ ვერ დავწერე,
კაცი, რომელსაც დღემდე ვერ შევხვდი,
ბავშვი, რომელიც ვერ გავაჩინე,
მე ისე მიყვარს, ვითარცა ღმერთი.
სახლი, რომელიც ვერ ავაშენე,
კარი, რომელიც ვეღარ შევაბი,
ვაზი, რომელიც ვერ გავახარე,
გულის შიგნიდან დღემდე მეძახის.
მამულს, რომელსაც ვერაფრით ვარგე,
ფიქრის ლექსებად ჩამოქნის გარდა,
ვეხუტები და ვემბორები
დაჭრილ გულსა და მოტეხილ მხართან.
მაგრამ ვერაფრით ვერ ვამთლიანებ,
ავადმყოფს ვეღარ ვეურნავ, სნებიანს,
შინაურთაგან ვერ დავიცავი
და, მითუმეტეს, ვეღარც მტრებისგან.
ეს სიყვარული მომიღებს ბოლოს,
მამული, ვაზი, სახლი და ბავშვი....
ლექსი რომ გულში ვეღარ მეტევა,
ლავად დაღვრილი ქვავდება გზაში.
ლექსი, რომელიც ჯერ ვერ დავწერე,
კაცი, რომელსაც დღემდე ვერ შევხვდი,
ბავშვი, რომელიც ვერ გავაჩინე,
მე ისე მიყვარს, ვითარცა ღმერთი.

ლელა სვანიშვილი

ფსიქოლოგიური ტიულები

ასოციაცია

მეცნიერებას თუ შევადარებთ სახ-
ლს და მეცნიერს - ოთახებს, მაშინ თი-
თოული მეცნიერი მისთვის განკუთ-
ვნილ სართულზე და ოთახში უნდა
მოთავსდეს.

ჭეშმარიტი მეცნიერი არ ფიქრობს
სახლის მშენებლობაზე და იმ თახ-
ზე, სადაც უნდა განთავსდეს. ეს ბუნე-
ბრივად უნდა მოხდეს.

ის მეცნიერული აზროვნება, რო-
მელიც შევიდა მის გონებაში მისი აზ-
როვნების შესაბამისად, სახლის ადმინ-
ისტრატორმა უნდა მიუჩინოს ის ფართი,
სართული (ხარისხი, წოდება), რომელიც
მისი აზროვნების შესაბამისია.

მეცნიერს წოდება ნაკლებად აინტ-
ერესებს. მას სურს, ის „ტერიტორი“, რო-
მელსაც ის ატარებს, ზუსტ, საიმედო
ადგესატამდე - ადგილამდე მიტანოს,
რადგან ვრძნობს, რომ ეს მხოლოდ მისი
საკუთრება არ არის და საყოველოა.

სასვენი ნიშნები

სასვენი ანუ სვენებისთვის (დასვენ-
ებისთვის) განკუთვნილი ნიშნები.

წერტილი ზოგჯერ მართლაც გვჭირ-
დება დასვენებისთვის, დაფიქრებისთ-
ვის...

მძიმე (,) ყველაზე უწყინარი და ამავე
დროს ლამაზი „მოსახატია“. მიკვირს,
რატომ დაარევს „მძიმე“.

დაგროვილი კითხვის ნიშნები
კი მართლაც გვაძიმებს და დიდი
ღვაწლია საჭირო მისთვის, რომ პასუხ-
ების გაცემით-მიგნებით, სიმსუბუქე ვი-
გრძნოთ...

„ძახილი“ს ნიშანი კი შეესატყვისება
მის შინაარსა...

ეს გადატანის ნიშანი რაღაა?! ნე-
ტავ რატომ გამოიგონეს?! სიტყვები არ
ეცოდებათ გასაყიდად, არადა, რამდე-
ნი ბავშვი დაისვენებდა სიტყვების დაყ-
ოფით. დასვენება იქით იყოს, დაყიდა
შეიძლება უცნაური და სასაცილო სი-
ტყვები მივიღოთ.

ეს ყველაფერი ბავშვური აზროვნე-
ბაა, თორემ სასვენი ნიშნების გარეშე
ძალიან გაგვიჭირდებოდა.

გაზარი

არსებობს ხილული და უხილავი ბა-
ზარი: „საკოლმეტურნეო“, „ელიავას“...

შევიარე უხილავ, „ნიქის ბაზარში“...

- აბა, კარგი ლექსი იაფად...

- ნატურალური მუსიკა...

- აბა, აქეთ, იუმორი შეიძინეთ...

იუმორის რაოდენობა სჭარბობს

და იუმორის განყოფილებისკენ გავე-

მართე.

- რა ღირს იუმორი?

- გააჩნია, ნატურალური ძვირია,

გენმიდიფიცირებული იაფი.

- ...

- კაცი რომ ქალია და ქალი კაცი,
„მაგი“ ააა არ იყიდება და გადავყარე,
თუ გინდა უფასოდ წაიღე, ნაგვისგან
გამათავისუფლებ.

- მეცნიერება საით არის, ხომ ვერ მე-
ტყვით?

- მეცნიერება, ამ რიგს გაჰყევი და
ბოლოშია.

რატომძაც დაგინტერესდი არქიტე-
ქტურული მეცნიერებით. ნატურალური
ძვირია, „ავანგარდული“ და ე. წ. „ცათა“
„მბჯენები“ შავი იუმორივით უფასოდ
არის.

- მუსიკა?

- ომ, მუსიკა, მელოდიური და ჰა-
მონიული აღარ დარჩება, დეფიციტშია.
ალტერნატიული: ჯაზი, როკი, რეპი...
უფასო.

სამყარო ივსება უფასოდ აღებული



ელგუჯა მგელაძე

პორტს შავანაურის მოულოდნელი სფურვი

ჩემმა კარგმა მეგობარმა მურთაზ ბალდავაძემ, შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ოჯახში დაგვპატიუა.

ოქტომბერი იყო. მთელი ჩემი სამსახური, ტრესტის მმართველის ბორის შამანაურის თამაღლით, წასასვლელად გავემზადეთ, მაგრამ უცებ ბორისმა მუსლილესთან დაკავშირებული საქმე მოიზიშა. იმ დროისათვის მის მეუღლეს თბილისის კალინინის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგის პოსტი ეჭირა და ბორისი დაგვპირდა, როგორც კი ჩემს საქმეს მოვრჩები, რა დროც უნდა იყოს, მაიც შემოგირთდებოთ.

ჩვენც დაგთანხმდით და ავლაბარში ქეთევან ნამებულის ქუჩაზე მცხოვრებ ბალდავაძებთან გავეშურეთ.

გაჩაღდა ლხინი. უკვე თორმეტის ნახევარი სრულდებოდა, კარგა გვარიანად ვიყავით შეზარხოშებულები, ჩვენი ტრესტის მმართველი კი არსად ჩანდა. ამიტომ თანამშრომლებმა ერთხმად გადავწყვიტეთ მისთვის შინ მიგვეკითხა და გაგვეგო მოუსვლელობის მიზეზი.

ბატონი ბორისი საბურთალოზე, ტელევიზიასთან ახლოს მდებარე კორპუსში, პირველ სართულზე ცხოვრობდა მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. ბინის ქვეშ ღრმა სარდაფი ჰქონდა გამოჭრილი; ეს იყო კაპიტალურად გაკეთებული საკმაოდ დიდი ფართის საქეიფო ადგილი, თავისი ბუხრით.

დაუპატიუებელი, უკვე კარგად ნასვამი სტუმრები, ზედმეტი ხმაურით მიუვახლოვდით კორპუსს, მის ბინაში შექი შევნიშნეთ და ფანჯრიდან შევახეთ.

რამდენიმე დაძახების მერე ბორისმაც გამოგვეხდა და გაკეთებულმა გვკითხა: რა ხდება, ბიჭებო, ხომ მშვიდობაა?

ჩვენც საპასუხო კითხვითვე მივმართეთ: ჩვენსკენ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ რომ აღარ გამორჩნდით, თქვენზე ვინერვიულეთ და ამბის გასაგებად მოგაკითხეთ-თქ.

რაღაც იზამდა ბორისი, ხალათით გარეთ გამოვიდა, სარდაფის კარი გაგვიღოდა და შეგნით შეგვიძლვა, თან მოვგიბოდიშა, ჩემს გარდა შინ ყველას სძინავს, ამიტომ ბინაში ვერ გეპატიურებით.

ჩვენც სასმელისაგან ზედმეტად გათამამებულებს პატიუი არც დაგვჭირებია და თამამად შევყველი.

მე ორი ბოთლი შემპანური მაგიდაზე დავდგი და მივმართე მასპინძელს: ბატონი ბორის, პირველად ვართ ოჯახში, უნდა დაგლოცოთ-მეტეი.

— აბა რა, ბიჭებო, ახლავე ჩამოვალ, დამელოდეთო.

— ნასვლას არსად ვაპირებთ, დაგელოდებით, აბა რას ვიზამთ, — ერთხმად ვუპასუხეთ, თითქოსდა ქეიფს მონატრებულებმა.

მასპინძელი ბოლომდე გასული არც იყო სარდაფიდან, რომ ჩვენ იქაურობის დათვალიერება დავინებული სარდაფის თაროგბზე უწყობი მიძღვნილი სხვადასხვა საჩუქრები: ნაირ-ნაირი ჩამოსხმის შამპანურები, ხიზილალის ქილები, ჩეხური ლუდი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის „ბამბანერები“, ზეთისხილი და სხვა. რომელებსაც თან ახლდა სასაჩუქრე ბარათები მინანერით: პატივისცემით ქალბატონ ნინოს ამისაგან და ამისაგან!

ჩვენ ამ საჩუქრებიდან სასწრაფოდ ამოვარჩიეთ ჩვენი სუფრისათვის მისაყოლებლად საჭირო დელიკატესები და როცა მასპინძელი ჭიქებით ხელში სარდაფში დაბრუნდა, ვითომდა ჩვენივე მოტანილი ნაირ-ნაირი დელიკატესებით მშვენივრად გაშლილი სუფრა დავახვედრეთ.

ის ღამე მასპინძელთან ერთად შამპანურის სმაში გავატარეთ და შერიცრაუებული იყო როცა დავიშალეთ.

სასტაციო

